

# სამანსოვრო მოსწავლეთათვის - პატარა მკვლევრებისთვის

მოგესალმებით, ძვირფასო მოსწავლეებო, შესაძლოა, მომავალი კოლეგებო, ახალგაზრდებო, ვინც მონაწილეობას იღებთ ისტორიის კონკურსში. რა თქმა უნდა, წარმატებას გისურვებთ! მადლობას გიხდით ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებისათვის!

ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი კონკურსი, სადაც ისტორიის საგანში თქვენს ცოდნას შეამოწმებენ და შეგაფასებენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისტორიის ცოდნის შედეგად დაგროვილი ინფორმაციის გამოყენების უნარის გარეშე აქ ვერაფერს გააკეთებთ. თუმცა, სხვა რამეზე გვინდა გადავიტანოთ თქვენი ყურადღება. ეს კონკურსი გახლავთ საშუალება, რომელიც გიბიძგებთ, აღმოაჩინოთ დაფარული ამბები, ის, რაც არ გამოუქვებულა ისტორიკოსების ან ისტორიით დაინტერესებული მკვლევრების მიერ; ის, რაც არ დაწერილა და თავის რიგს ელოდებოდა დროთა განმავლობაში, რომ დღის სინათლე ეხილა და ახლებურად შემოეტრიალებინა ისტორიის დინამიკა; ის, რაც შესაძლოა, არც თუ ისე საამო მოსასმენი ან წასაკითხი იყო და ამიტომ იქნა რიგი ადამიანების თუ ხელისუფლების მიერ დაწუნებული-იგნორირებული; ის, რაც ალბათ, მტკივნეულია გარკვეული ადამიანებისთვის და ამიტომ არაა შესაბამისად გამოკვლეული. ასევე, დაფარული ისტორიების გარდა, არსებობენ ისტორიისათვის უჩინარი ადამიანები, გმირები, ვინც ბევრი რამ აკეთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის და მათი სახელები არ შემორჩა, ანდა დაიკარგა, წაიშალა ისტორიის მორევში... მოკლედ, თქვენ გელით დროში მოგზაურობა და არა მხოლოდ მოგზაურობა, არამედ დღის სინათლეზე უცნობი ისტორიების გამოტანა. ეს ძალიან საინტერესო, საპასუხისმგებლო და ამბიციური საქმეა. მას თუ მიყვებით, ძალიან კარგ საქმეს გააკეთებთ შთამომავლობისათვის, რამეთუ ობიექტური და სწორი, სამართლიანი და მიუკერძოებელი ისტორიის ქონა და ცოდნა ასეთივე საზოგადოებისა და სახელმწიფოს შენების ტოლფასია!

მამ ასე, ძვირფასებო, შევუდგეთ ჩვენს საქმეს!

მცირეოდენ ინფორმაციას მოგაწვდით საბჭოთა ეპოქის განათლების სისტემაზე.

## განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საზოგადოების საბჭოთა სკოლა და განათლება

მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლები საბჭოთა კავშირის ისტორიაში უძრაობის (რუსულად - „застой“) ხანად იწოდება. ესაა პერიოდი, როცა სისტემა ეკონომიკურმა სტაგნაციამ და იდეურმა კრიზისმა მოიცვა.

XX ს-ის 80-იანი წლების საბჭოთა განათლების სისტემის ხერხემალი იყო საბჭოურ-კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მისი ძირითადი მიზანი გახლდათ საბჭოთა მოქალაქის აღზრდა და მეცნიერების საფუძვლების ზოგადი ცოდნა-წარმოდგენის მიცემა. საბჭოთა სკოლის მესვეურებს ამ მიზნის მიღწევაში მხარში ედგა და ეხმარებოდა ერთპარტიული საბჭოთა სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ასევე მისი ქოლგისა და კონტროლის ქვეშ მყოფი იდეოლოგიური ორგანიზაციები - კომკავშირი და პიონერთა ორგანიზაცია. მათი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა იყო ზოგადი განათლების მიცემასთან ერთად აღეზარდათ საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული და მხურვალედ მხარდამჭერი ახალგაზრდები.

XX საუკუნის კომუნისტური რეჟიმის დროს განათლების სისტემა, შორიდან თუ შევხედავთ, გარეგნულად თითქოს მოწესრიგებული იყო: სკოლაში დადიოდა ფაქტობრივად ყველა ბავშვი; მობილიზებული იყო დირექცია და პედკოლექტივი; სახელმძღვანელო გათვლილი იყო საშუალო დონის ინტელექტის მოსწავლეზე; ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, ესა თუ ის საკითხი საფუძვლიანად აეთვისებინა. ამის საშუალებას იძლეოდა სახელმძღვანელო. ასე რომ, თუ მაშინდელ სკოლას ჩამოვაცილებთ პოლიტიკას, საქმე კარგად მიდიოდა. სასკოლო პროგრამას ბავშვების დიდი ნაწილი კარგად ითვისებდა და უმაღლეს სასწავლებელშიც სკოლაში მიღებული ცოდნით ეწყობოდა.

იმავდროულად კომკავშირი და კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოსწავლეებში ჩაენერგათ კომუნისტური სულისკვეთება. სწავლის ხარისხს ისეთი ყურადღება არ ექცეოდა, როგორც მათ კომუნისტური იდეებით აღზრდას. ყველა საგანი და განსაკუთრებით ისტორია იდეოლოგიზებული იყო.

საბჭოთა კავშირის სკოლებში თითოეულ საგანში არსებობდა ცენტრში, კონკრეტულად მოსკოვში შექმნილი და შემდგომ მშობლიურ ენაზე თარგმნილი მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო. უმეტესწილად ამ სახელმძღვანელოებით ათწლეულების განმავლობაში სწავლობდა საგნებს რამდენიმე თაობა.

რაც შეეხება საისტორიო განათლებას, ძირითადად ისწავლებოდა ფორმაციულ განვითარებაზე და კლასობრივ ბრძოლაზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირის ისტორია. როგორც აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოები იქმნებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, შემდგომ კი ითარგმნებოდა იმ რესპუბლიკებისათვის, სადაც ნაციონალურ ენაზე იყო დაშვებული სწავლება.

საბჭოთა კავშირის დანგრევიდან მოყოლებული, XXს-ის 90-იანი წლებიდან, შეიცვალა სკოლის ფუნქციაც, მას ჩამოშორდა აღმზრდელობითი კომპონენტი და დარჩა მხოლოდ საგანმანათლებლო. ცვლილება მოხდა ასევე ისტორიის განათლებაში: ახლა უკვე თავისუფალ რესპუბლიკებში ადგილზევე შეიქმნა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ისტორიის სახელმძღვანელოები. დაიმსხვრა საბჭოთა იდეოლოგიაც და მისი ადგილი დაიკავა ეროვნულმა.

### **რას სწავლობდნენ საბჭოთა ბავშვები**

საბჭოთა ბავშვებს სურდათ გამხდარიყვნენ ინჟინრები, ექიმები, მძღოლები, სამხედროები და ა. შ., რათა თავიანთი შრომით ადამიანებისთვის სარგებელი მოეტანათ. ამაში სახელმწიფოც უწყობდა მათ ხელს. სწავლება საბჭოთა კავშირში უფასო იყო და მას სრულიად აფინანსებდა სახელმწიფო. მართალია, თანამედროვე ბავშვისთვის სპეციალობის არჩევანი ბევრად ფართოა, თუმცა სწავლება უფასოცაა და ფასიანიც.

### **საბჭოთა სკოლის მოსწავლეები**

ცხადია, თანამედროვე ცხოვრება საბჭოთა ეპოქას ვერ შეედრება. სიახლეს არა მხოლოდ ინტერნეტის, გაჯეტების და ახალი ტექნოლოგიების გაჩენა წარმოადგენს. სსრკ-ს სკოლებში ცალკე ტარდებოდა შრომის გაკვეთილი. აქ გოგონები სწავლობდნენ კულინარიას, ქსოვას ქარგვას და სხვ., ბიჭები კი ჩაქუჩების, საჭრისების და სხვა ინსტრუმენტების დამზადების თუ მოხმარების ხელოვნებას. მართალია, ეს დისციპლინა ზოგიერთ სკოლაში დღესაც არის შემორჩენილი, თუმცა მას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა შემორჩა.

აქ ცალკე უნდა ვისაუბროთ ისეთ მნიშვნელოვან და განმავითარებელ საქმიანობაზე, როგორცაა წიგნების კითხვა. თუ საბჭოთა პერიოდში კითხვა და ბიბლიოთეკაში სიარული მოდური იყო, იშვიათი წიგნი კი საუკეთესო საჩუქრად ითვლებოდა, დღეს ბავშვებისა და მოზარდების მეტი ნაწილი სხვანაირად ფიქრობს და მოქმედებს. ისინი ძირითადად მხოლოდ სიახლეებს ეცნობიან ინტერნეტში, წიგნის კითხვით და მათში სიახლეების ძიებით კი ნაკლებად კავდებიან. დღეს ნებისმიერი წიგნი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ოდესმე.

ჩვენ ხშირად გვესმის ფრაზა, რომ “ადრე ყველაფერი უკეთესი იყო”. მაგრამ ყოველთვის იქნებოდა ამ განცხადების როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. კაცობრიობა მუდმივად მიიწევს წინ და, შესაბამისად, ყოველი თაობა ყოველთვის რაღაცით განსხვავდება წინა თაობისგან.

და ვინაიდან ბოლო დროს ცვლილებები მართლაც ძალიან სწრაფია, გასაკვირი არაა, რომ საბჭოთა ეპოქის ბავშვები და თანამედროვე ბავშვები ასე საოცრად განსხვავებულები არიან.

### **საბჭოთა კავშირში სკოლებში სწავლა 1-ელ სექტემბერს იწყებოდა.**

მოსწავლეები სკოლაში ბაფთებითა და ყვავილების თაიგულებით მიდიოდნენ. ამ დღეს მეცადინეობა ხშირ შემთხვევაში არ ტარდებოდა. ჩვეულებრივ, პირველ დღეს მასწავლებლები მოსწავლეებს სიახლეების, გაკვეთილების ცხრილს და ახალ პედაგოგებს აცნობდნენ.

1980 წელს სსრკ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის (ასე ერქვა პარლამენტს სსრკ-ში) დადგენილებით 1-ელი სექტემბერი ოფიციალურ დღესასწაულად - ცოდნის დღედ გამოცხადდა.

პირველ დღეს საბჭოთა მოსწავლეები სკოლაში ფორმით მიდიოდნენ. საზეიმო სკოლის ტანსაცმელს მუქი ფერის კაბა, თეთრი წინსაფარი, კოლჰოტი და ფეხსაცმელი წარმოადგენდა. ჩვეულებრივ კი მოსწავლეებს ყავისფერი კაბა ეცვათ და შავი წინსაფარი ეკეთათ. ამ ტანსაცმელს ატარებდნენ ბავშვები ზამთარ-ზაფხულ მუდმივად.

იმისთვის რომ მოსაწყენი სკოლის ფორმა რამენაირად გაელამაზებინათ, დედები და ბებიები საყელოსა და წინსაფარს ალამაზებდნენ: მათ კერავდნენ მაქმანებისგან, ყაისნალით ქსოვდნენ, იგონებდნენ ახალ მოდელებს, გულსაბნევებს აბამდნენ და სხვა.

ბიჭებს კი ნაცრისფერი სკოლის ფორმა ეცვათ, რომელიც შარვლის, თეთრი პერანგისა და კოსტიუმისგან შედგებოდა. აუცილებელი ატრიბუტი იყო ფართო, დიდბალთიანი ქამარი.

რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ ჭკვიანი, კვალიფიციური, საგნის მცოდნე პედაგოგები, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. სახელმძღვანელოებიც, ეპოქის შესაბამისად, საკმაოდ გამართული იყო.

**რა ვაკეთოთ და როგორ ვიმუშაოთ.** პირველ რიგში აუცილებლად უნდა გავიაზროთ ჩვენი კონკურსის სათაური – „30 წელი საბჭოთა კავშირის დაშლიდან“. იგი მრავალფეროვანი თემებისგან შედგება. ვფიქრობთ საჭიროა ამ თემის სიღრმისეულად გააზრება. ამიტომ, პირველ რიგში, მოდით დავსვათ საკვანძო კითხვა ამ თემასთან დაკავშირებით:

1. რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი საქართველოში 30 წლის უკან და მომდევნო პერიოდში? ეს ძალიან ზოგადი კითხვაა და შესაძლებელია, მარტივად გაეცეს პასუხი. ჩამოვთვალოთ ძირითადი ეტაპები, რაც გაიარა სახელმწიფომ და საზოგადოებამ, შემდგომ კი დავურთოთ ქრონოლოგიური თარიღები.

მაგრამ ჩვენ გვინდა უფრო სხვა, კონკრეტული თემები, უცნობი ისტორიები და ადამიანები, მოკლედ რომ ვთქვათ: ყოველდღიურობის ასახვა ისტორიაში, ზეპირი ისტორიები, ადამიანთა ისტორიული მეხსიერების გააქტიურება.

როგორც ვიცით, კონკურსის საერთო სათაურის ქვეთემებია:

1. „სკოლა და ცხოვრება“ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“ საბაზო სკოლის მოსწავლეთათვის.

2. „ადამიანებისა და თემის მეხსიერება გვიან საბჭოეთზე და გარდამავალი პერიოდის საქართველოზე“- საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის.

**დავიწყეთ საბაზო სკოლის მოსწავლეებისათვის დავალების გარჩევა:**

რა მოგეთხოვებათ თქვენ?

როგორ უნდა მოხდეს თქვენი საკვლევი თემის შერჩევა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თქვენთვის ეს პერიოდი, კონკრეტულად - გვიანი საბჭოეთი და გარდამავალი ხანა - უცნობი ხილია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ უფროსების (მშობლების) გამოკითხვა აღნიშნულ პერიოდზე კარგი მასალა იქნება თქვენი მოთხრობა-რეფერატისთვის. კითხვები აჯობებს, რომ თქვენ მოიფიქროთ და მასწავლებელს გადაახედოთ, რამდენად სწორად დასვით შეკითხვები და შემდეგ უკვე პასუხები ისტორიულ თხრობად გადააქციოთ. მაგალითად: რას გაიხსენებდი საბჭოთა სკოლაზე? უშუალოდ შენს სკოლაზე? რომელი საგნები მოგწონდა? რომელ მასწავლებელს მიანიჭებდი უპირატესობას? რას აქცევდნენ პედაგოგები ყურადღებას მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში? რა სახის და ხარისხის გაკვეთილები ტარდებოდა? იყო თუ არა თქვენთვის საინტერესო გაკვეთილზე დასწრება და აქტიურობა? რა სახის კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობები ტარდებოდა და როგორ? ჰქონდათ თუ არა მოსწავლეებს სკოლის შემდეგ თავისუფალი დრო? როგორ ატარებდნენ მას? რა დრო სჭირდებოდა საშინაო

დავალეების შესრულებას გაკვეთილების შემდეგ? იყო თუ არა სკოლაში მოქმედი საგნობრივი და თვითშემოქმედების წრეები? რა სახის სამუშაო ტარდებოდა იქ? რას აკეთებდნენ სკოლაში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები? რამდენად საინტერესო იყო ამ ორგანიზაციებში მოსწავლეთა ჩართულობა და აქტიურობა? ეს კითხვები შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც ცალკეული თემები, ოღონდ სათაურები თქვენ უნდა მოიფიქროთ თქვენივე მოძიებული მასალის მიხედვით.

### **დავსვათ აღნიშნულ თემაზე საკვანძო კითხვა:**

რა კვალი დატოვა ისტორიაში სკოლამ და ცხოვრებამ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში? ეს უკვე სერიოზული კითხვაა და პასუხები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. აქ ერთი პასუხი წარმოუდგენელია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კითხვას აერთიანებს და თუ თქვენ რომელიმე მათგანზე მეტნაკლებად ამომწურავ პასუხს გასცემთ, ჩათვალეთ, რომ ნაწილობრივ შევავსეთ ეს „თეთრი ლაქა“ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გამოკითხვის გარდა მნიშვნელოვანია, თუ ინტერნეტშიც ჩაიხედავთ და გარკვეულ წყაროებს იქ იპოვით და გამოიყენებთ თქვენს ნაშრომში. ასევე მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკებისა და არქივების გამოყენება. შესაძლოა თქვენი სასკოლო ან ადგილობრივი ბიბლიოთეკაც გამოგადგეთ. ასევე კარგი იქნება, თუ უფროსებისგან ინტერვიუებს ჩაიწერთ და სწორედ ამას გამოიყენებთ თქვენი ნაშრომისათვის წყაროდ. მივყვით ახლა კონკრეტულ საშუალებებს:

### **ვიზუალური წყაროს ანალიზი:**

ეს საშუალება ვიზუალური წყაროს ანალიზისთვის და თქვენში, ანუ მოსწავლეებში დაკვირვების, ინტერპრეტაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გასავითარებლად გამოიყენება.

### **პროცედურა:**

#### პირველი ეტაპი:

დაკვირვებით დაათვალიერეთ სურათი და ყურადღებით დააკვირდით ამ სურათზე მოცემულ ფორმებს, ფერებს, სურათის სტრუქტურას, ადამიანებისა და ობიექტების განლაგებას და სხვა.

#### მეორე ეტაპი:

აღწერეთ და ჩაიწერეთ, თუ რას ხედავთ სურათზე (რა არის გამოსახული სურათზე), ოღონდ საკუთარი ინტერპრეტაციის გარეშე.

ჩანაწერი შეიძლება ასე დაიწყოს:

მე ვხედავ .....

მესამე ეტაპი:

სანამ დაიწყებდეთ სურათზე მსჯელობას, გაარკვიეთ, რა შეკითხვები დაგიგროვდათ და რომელ მათგანზე თვლით აუცილებლად პასუხის გაცემას?

ჩანაწერი შეიძლება ასე დაიწყოს:

მინდა ვიცოდე:

ვინ?

რა?

როგორ?

სად?

როდის?

რატომ?

მეოთხე ეტაპი:

იმსჯელეთ ორ თანაკლასელთან ერთად, რათა პასუხი გასცეთ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს

მეხუთე ეტაპი:

ისტორიული კონტექსტისა და კონკრეტული ვიზუალური წყაროს მიხედვით განსაზღვრეთ, თუ რა უნდოდა ეთქვა ავტორს და ვისზე იყო გათვლილი ეს წყარო.

შეიძლება ასე დაიწყოთ:

ჩემი აზრით, ავტორს უნდოდა ეთქვა .....

მე ვფიქრობ, რომ ამ წყაროს აუდიტორია იყო .....

ეს საშუალება შეიძლება გამოვიყენოთ:

ფერწერული ტილოს, ფოტოს, პოლიტიკური კარიკატურის, სააგიტაციო პლაკატის, ვიდეოკლიპის და სხვა ვიზუალური წყაროს ანალიზისას

# როგორ განვახორციელოთ საინტერესო პროექტი სკოლისათვის

## შესავლისათვის

განადგურდა კი საბჭოთა კავშირი? რუკაზე – დიახ, მაგრამ აზროვნებაში? ჩვენს აზროვნებაში? ყოველთვის ვიტყვი: არა, რადგან ადეკვატურად არ შეფასებულა. ვიდრე ეს არ მოხდება (სამწუხაროდ, დასასრულის კი არა, აღორძინების ნიშნებს უფრო ვხედავთ), საბჭოთა კავშირიც იარსებებს, წინ არ გაგვიშვებს, დაბრკოლებებს შეგვიქმნის და ჩამოგვარჩენს. ისტორიის გამოცდებზე ჩასაბარებელ პროგრამულ ნუსხაში რუსეთის ისტორიას დიდი ადგილი უკავია. ეს ეხება როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის გამოცდებსაც. ვერა და ვერ გავცდით რუსეთს. ვერც მისდამი ლტოლვას. ამიტომ ვკითხულობ: დაემხო კი საბჭოთა კავშირი? ეს მოწამვლა ხომ დღესაც გრძელდება. ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს რუსეთის ისტორია ასე დაწვრილებით სასკოლო პროგრამაში (საგამოცდოს ვგულისხმობ, რადგან ეროვნულმა გეგმამ უკვე რამდენიმე წელია დაკარგა ფასი და არსიც, საგამოცდო საკითხები გადაიქცა რეალურ ეროვნულ გეგმად). მავანი (და რამდენია!) შემეკამათება: „რას ამბობთ, ეროვნულ სასწავლო გეგმას ხომ ვწერთ ახალ გაკვეთილის გეგმაში?!“ დიახ, ვწერთ, მაგრამ რეალურია? რეალობა ისაა, რომ საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი იქცა ეროვნულ გეგმად. ასეა და ვინც საპირისპიროს იტყვის ან იფიქრებს, ის, ცხადია, პრაქტიკას „გაცდენილია“. როგორ, არ უნდა იცოდეს მოსწავლემ დეტალურად პეტრე პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა?! იცოდეს, მაგრამ იცოდეს საქართველოსთან მიმართებით. თუ მეტის გაგება უნდა, ისწავლოს თავად, პროგრამული ჩარჩოების მიღმა. ან რუსეთის 1905 წლის რევოლუცია რატომ უნდა ისწავლებოდეს დეტალურად? რა არის ამის მიზანი? თანაც, ხომ იცით, პრინციპი ასეთია: სახელმძღვანელოში წერია? – მაშასადამე, უნდა ვასწავლოთ! პროგრამაში წერია? – მაშასადამე, უნდა დავიზიჰებოთ!

თემას ცოტა გადავუხვიე... მოსწავლეები დღეს გაორებული არიან. ერთნი ბრალს სდებენ რადიკალიზმში (სტალინისადმი ნეგატიური ანუ ობიექტური დამოკიდებულების გამო და, სამწუხაროდ, მათი რიცხვი არც ისე მცირეა). მეორენი ხოტბას ასხამენ სტალინს, მესამენი კი შაბლონურ ფრაზას ამოჰფარებიათ: ჭკვიანი იყო – ომი მოიგო (აი, ისინი, ნეიტრალურები რომ არიან ყველაფრის მიმართ, უფრო კი ინფანტილურები, და ამ ომს დღესაც სამამულო ომად იხსენიებენ. ასეთია სინამდვილე და, ვფიქრობ, ისტორიკოსებს – თუმცა, ცხადია, არამხოლოდ მათ – დიდი ბრალი მიუძღვით ამაში.

პროექტის – „უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლოები საქართველოში“ – განსახორციელებლად საჭიროა წინარეცოდნა. მოსწავლეებს რეალურად სჭირდებათ წინარეცოდნა (სამწუხაროდ, მას არ იძლევა სახელმძღვანელოები, სადაც სულ ოთხი საათი აქვს დათმობილი საბჭოთა ისტორიას, სტალინურ ეპოქას კი –



მხოლოდ ერთი (კონტექსტი ცალკე თემაა). მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა სტალინური რეპრესიების, ჰოლოდომორის, ეკონომიკური პოლიტიკის, პროპაგანდის, სტალინის კულტის (კულტურაში და არამხოლოდ) შესახებ, განხილული უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ სტალინური ეპოქა, არამედ საბჭოთა კავშირი თავისი „ეროვნული“, თუ სახელმწიფო პოლიტიკით.

## **ინტერვიუს სახეები:**

### **1. ინტერვიუ თვითმხილველთან**

თუკი რაიმე მნიშვნელოვანი, საგნისათვის საინტერესო მოხდა და მას ჰყავს თვითმხილველები, ამ შემთხვევაში მიმართავენ ინტერვიუს ამ ფორმას. გეოგრაფიისთვის ეს შეიძლება იყოს მაგ.: ბუნებრივი კატასტროფის თვითმხილველი. ამ დროს შეკითხვები შესაძლოა დაიწყოს შემდეგი კითხვითი სიტყვებით – რა? სად? როდის? როგორ? თუკი თვითმხილველის პასუხებიდან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვინდა შევქმნათ გარკვეული სურათი, სასურველია, სხვა თვითმხილველებიც მოვიძიოთ და მათაც დავუსვათ ანალოგიური კითხვები.

### **2. აზრის გამოკითხვა რაიმეს შესახებ**

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ საინტერესო ხდება მოსახლეობის აზრის შესწავლა, ამ შემთხვევაში კითხვა იწყება “რატომ” კითხვითი სიტყვით და ვცდილობთ სრულად გავიგოთ გამოკითხულის აზრი რაიმე ობიექტის თუ მოვლენის შესახებ.

### **3. ინტერვიუ – პორტრეტი**

თუკი რომელიმე გამოჩენილ, ან გამორჩეულ ადამიანზე გინდათ წარმოდგენა ინტერვიუთი შეიქმნათ, საჭიროა, წინასწარ მოიპოვოთ ინფორმაცია რესპონდენტზე, რომ შეხვედრამდე შეიქმნათ შთაბეჭდილება ობიექტზე, შეძლოთ კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო საბოლოო ჯამში მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

## **სასწავლო პროცესში ინტერვიუს ჩართვას თავისი ეტაპები გააჩნია:**

1. მოსამზადებელი სამუშაო;
2. კითხვების ჩამოყალიბება
3. ინტერვიუ;
4. მასალის დამუშავება და ანალიზი;
5. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება;
6. პრეზენტაცია;
7. შეფასება.

## 1. მოსამზადებელი სამუშაო

ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ინტერვიუს სწორად დაგეგმვაში. რაც უფრო ზედმიწევნით დაიგეგმება სამუშაო, მით უფრო ნაკლები წინააღობები იქნება უშუალოდ მუშაობის პროცესში.

მოსწავლეებს ევალუბათ შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება:

- წინასწარ მოიძიონ მათ მიერ არჩეულ თემაზე (საკითხზე) არსებული მასალა და შეისწავლონ იგი;
- წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია იმ ჯგუფზე, რომელსაც მიეკუთვნებიან არჩეული რესპონდენტები;
- საჭიროა დადგინდეს, თუ რამდენად კომპეტენტურია მოსაუბრე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- სასურველია, მოუსმინონ მსგავსი ტიპის ერთ ან ორ ინტერვიუს;
- წინასწარ დაიგეგმოს ინტერვიუს ადების დრო თუ ადგილი.

იმისათვის, რომ ინტერვიუსთან დაკავშირებული სრული ციკლი წარმატებით დასრულდეს, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად წინასწარ უნდა იფიქროს:

- გამოიყენებთ თუ არა დიქტოფონს, რა ფორმით მოხდება ინტერვიუს ჩაწერა;
- დაჭირდება თუ არა მეწყვილე ინტერვიუს ჩატარებისას;
- რა ინფორმაციის ცოდნაა საჭირო თითოეული რესპონდენტის შესახებ. მაგ.: რესპონდენტის დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია, განათლება, საცხოვრებელი ადგილი კონკრეტულ პერიოდში და ა.შ.;
- კითხვების ფორმულირებაზე: ა) კითხვა რესპონდენტს არ უნდა უბიძგებდეს გარკვეული პასუხისაკენ ბ) კითხვები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- როგორ დაიწყოს და დაასრულოს ინტერვიუ.

## 2. კითხვების ჩამოყალიბება

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი პროექტში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს ავალუბს, მოიფიქროს ინტერვიუს ორი ან სამი კითხვა. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს, რომლის დროსაც უნდა შეჯერდეს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული საკვლევი კითხვები. თავდაპირველად ყველა კითხვა აღინუსხება დაფაზე, ხოლო შემდეგ ხდება ამ კითხვების მიზანშეწონილობის გარკვევა, ხომ არ შეიძლება მათი უკეთ ფორმულირება, ხომ არ იმეორებს კითხვები ერთმანეთს. ამ მიზნის მისაღწევად, მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის საკვლევი კითხვა და თუ რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას. თითოეული არჩეული საკვლევი კითხვა საფუძვლად უნდა დაედოს ინტერვიუს კითხვარს.

- კითხვების შერჩევა (მათ შორის, ძირითადი, ალტერნატიული, დაუგეგმავ გარემოებაზე გათვლილი) უნდა იყოს მიმართული რესპონდენტის ცოდნის, აზრის თუ ფაქტების გაგებისკენ.

- ინტერვიუს კითხვების თანმიმდევრობა მიმართული უნდა იყოს მარტივიდან რთულისკენ. უმეტეს შემთხვევაში ინტერვიუს დაწყება უმჯობესია ისეთი მსუბუქი კითხვებით, რომლებიც რესპონდენტს დამაბულობას მოუხსნის.
- ბოლო კითხვა ყველაზე რთულია, ან მთავარი.
- სასურველია კითხვების ორი ვერსიის მომზადება, სრული და შემოკლებული, რომელთა გამოყენება/არ გამოყენების საკითხს სიტუაციიდან გამომდინარე ადგილზე გადაწყვეტ.
- მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ არ არის უხერხული, თუკი რაიმე ტერმინი ან ცნება არის მისთვის უცნობი და მან თავისუფლად უნდა დასვას დამაზუსტებელი კითხვები.

### **აკრძალვების ნუსხა**

კარგად მომზადებული კითხვები ინტერვიუს მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა.

თუკი კითხვაში პასუხი იკითხება – ასეთი კითხვა ინტერვიუსთვის უვარგისია.

ასევე დაუშვებელია:

- მტკიცებითი წინადადების კითხვითით შეცვლა;
- ერთ კითხვაში ორის გაერთიანება;
- გადატვირთული კითხვა/აღსაქმელად რთული კითხვები;
- სასურველი პასუხის მიღებისკენ მიმართული კითხვების დასმა;
- საკუთარი შეფასების შემცველი კითხვა;
- საკითხის გაბუქება თუ გაზვიადება.

### **3. ინტერვიუს აღების პროცესი:**

- დიქტოფონის და აუდიო კასეტის წინასწარ შემოწმება. თუ ინტერვიუს ჩაწერა ელექტრონული გზით ვერ ხერხდება, მაშინ, აუცილებელია მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ: ერთი სვამს კითხვებს, ხოლო მეორე აკეთებს ჩანიშვნებს (ინტერვიუს დასრულებიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ჩანიშვნების საფუძველზე რესპონდენტის პასუხების წერილობით ჩამოყალიბება);
- ინტერვიუს ადგილზე დროულად მისვლა;
- რესპონდენტის წინასწარ გაფრთხილება, თუ რამდენ დროს მოითხოვს ეს ინტერვიუ;
- რესპონდენტთან ზრდილობიანად ქცევა;
- აუცილებელია, რომ თავდაპირველად დამყარდეს პოზიტიური კონტაქტი იმ პირთან, ვისგანაც ინტერვიუ უნდა იყოს აღებული. ასევე თავდაპირველი კითხვები უნდა იყოს მსუბუქი ხასიათის, რომ მოსაუბრეს გაუქრეს დამაბულობის გრძნობა;
- რესპონდენტის საუბრის ყურადღებით მოსმენა;
- ინტერვიუს მსვლელობისას საჭიროა მოთმინების გამომჟღავნება. რესპონდენტს არ უნდა შევეკამათოთ ან შევუსწოროთ;
- რესპონდენტს უნდა დააცადოთ, გამოთქვას თავისი აზრი სრულად;

- თუკი პასუხი ვერ მიიღეთ, ერთი ორი კითხვის შემდეგ ისევ შეიძლება კითხვის გამეორება, მცირედად შეცვლილი ფორმით;
- თუკი რაიმე გაურკვეველია, ჯობია ადგილზე დამაზუსტებელი კითხვის დასმა, ვიდრე შემდეგ ფაქტების არასწორად ინტერპრეტირება;
- თუ მოსწავლე თვლის, რომ ინტერვიუს მსვლელობა მოითხოვს ისეთი კითხვის დასმას, რომელიც მას არ ჰქონდა დაგეგმილი, უმჯობესია, მან ეს კითხვა დასვას;
- ასევე კარგია თუ ამის შემდეგ დასვამთ კითხვას “რამე მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ხომ არ დამავიწყდა?”
- ინტერვიუს დასრულების შემდეგ, აუცილებლად გადაუხადეთ რესპონდენტს მადლობა და ასევე შეუთანხმდით, რომ მას დაუკავშირდებით, თუკი დეტალების დაზუსტების საჭიროება იქნება.

#### 4. აღებული მასალის დამუშავება და ანალიზი:

ინტერვიუს დამუშავებისა და ანალიზის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- რამდენად კარგი იყო რესპონდენტის მეხსიერება? შეიძლება თუ არა მიღებული პასუხები სანდოდ მივიჩნიოთ?
- რესპონდენტის მიერ გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვებს?
- საჭიროა თუ არა, გადამოწმდეს რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.?
- იყო თუ არა რესპონდენტი აშკარად ტენდენციური, თავის რომელიმე პასუხში?
- რამდენად ღირებულია კონკრეტული ინტერვიუ?

#### 5. კვლევის შედეგის ნაშრომის სახით ჩამოყალიბება

მოსწავლეებმა ნაშრომში უნდა წარმოაჩინონ, თუ რა არის მათი მთავარი მიგნება. ნაშრომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა: შესავალი – არჩეული თემის მოკლე მიმოხილვა (რატომ არის თემა მნიშვნელოვანი? რატომ დაინტერესდნენ ისინი ამ თემით?); ძირითადი ნაწილი – როგორ და რატომ მივიდნენ მოსწავლეები ამ მიგნებებამდე; საჭიროა დაერთოს კითხვარის რაოდენობრივი ანალიზი; სასურველია მომზადდეს თვალსაჩინოებები; დასკვნა – თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება;

#### 6. პრეზენტაცია

პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორია, რომლისთვისაც მზადდება იგი. თან უნდა დაერთოს მომზადებული თვალსაჩინოებები, საინტერესო პასაჟები ინტერვიუდან, მთავარი მიგნებები.

#### 7. შეფასება

საბოლოო შედეგების შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებშიც ასახულია, როგორც მოსწავლის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ასევე კვლევის შედეგად შექმნილი ნაშრომი და მისი პრეზენტაცია.

## **როგორ დავწეროთ კარგი ესე – 14 ნაბიჯი**

ესე წერის რამდენიმე გზა არსებობს. ამჯერად სტანდარტული ესე წერის პრინციპს გაგაცნობთ.

**როგორ ვწეროთ კარგი ესე?**

სირთულე: საშუალო

საჭირო დრო: 30 წუთი

**იხილეთ 14 ნაბიჯი:**

1. შეარჩიე თემა შენი ესესთვის.
2. აირჩიე თემის მთავარი აზრი, ან თეზისი. მაგალითად: ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა რევოლუციური ცვლილება მოახდინა ჩვენი სამუშაოს სპეციფიკაზე.
3. გაწერე ესე სამ ძირითად ნაწილად: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა/შეჯამება.
4. შესავალი საინტერესო წინადადებით დაიწყე. მაგალითად: კომპიუტერის მეშვეობით, სახლიდან მომუშავე ადამიანების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში 150 000-დან 12 მილიონამდე გაიზარდა. შესავალი, შეიძლება, შეიცავდეს საინტერესო სტატისტიკას, ცნობილი ადამიანის ფრაზას, რიტორიკულ კითხვას, როგორცაა “იცოდით, რომ...”, თუ სხვ.
5. პირველი წინადადების შემდეგ ჩამოაყალიბე ესე მთავარი აზრი. ამ წინადადებამ უნდა განსაზღვროს მთლიანი ტექსტის დედააზრი.
6. ყოველ ახალ აზრს წარუმძღვარე წინადადება, რომელიც ამ აზრს განსაზღვრავს. ამით შეძლებთ პარაგრაფების ერთმანეთთან დაკავშირებას და ესე სტრუქტურის აწყობას.
7. შესავალი დაასრულეთ მთავარი აზრის მოკლე შეჯამებით. მაგალითისათვის: ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა ტრადიციული სამუშაო გარემო წარსულს ჩააბარა.

8. შიდა პარაგრაფები (ძირითადად ორი, ან სამი) შესავალში დაფიქსირებული იდეის განვრცობას ემსახურება. გახსოვდეს, რომ საწყის პარაგრაფში აღნიშნული თემის მიმოხილვით ესეს სტრუქტურა იკვრება.

9. ესეს შუა პარაგრაფებში მოიყვანე მაგალითები და დამატებითი ინფორმაცია თემაზე. მაგალითად: როცა ინტერნეტი პირველად შეიქმნა, მას ძირითადად მეცნიერები იყენებდნენ, თუმცა, დღეს უკვე ყველა საკლასო ოთახში შეგიძლიათ მისი გამოყენება.

10. ესეს შუა პარაგრაფებმა უნდა განავითაროს ცენტრალური იდეა და ბოლოს შეაჯამოს იგი. თითოეულმა მსგავსმა პარაგრაფმა მინიმუმ ორი მაგალითი ან ფაქტი უნდა განიხილოს მთავარი იდეის დასაცავად.

11. ბოლო, დასკვნითი პარაგრაფი აჯამებს მთელ ესეს და შესავლის პერიფრაზირებას ახდენს.

12. დასკვნა დაიწყეთ წინადადებით, რომელიც გაიმეორებს წინა პარაგრაფების პრინციპულ იდეას. მაგალითად: ინტერნეტის მოხმარებამ სახლის პირობებში და თანამედროვე კომპიუტერული სისტემების სწრაფმა განვითარებამ...

13. ბოლოსწინა წინადადებამ უნდა გაიმეოროს თემის მთავარი თეზისი. მაგალითისთვის: ჩვენ ინდუსტრიული რევოლუციიდან ინფორმაციულ რევოლუციაში გადავინაცვლეთ.

14. ბოლო წინადადება მთავარი თეზისის სამომავლო პერსპექტივებს შეეხება. მაგალითად: მომავალში ოფიციალური სამუშაო გარემოს სრულ გაქრობას უნდა ველოდეთ.

### **რჩევები:**

- აზრის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენეთ ძლიერი ზმნები და თავი აარიდეთ მოდალურ ზმნებს.
- არ მოიხადოთ ბოდიში იმის გამო, რასაც ამბობთ. ესე საკუთარი აზრის გამოხატვაა.
- უცხო ენაზე წერისას ნუ გადმოთარგმნით აზრს მშობლიური ენიდან. ასე შორს ვერ წახვალთ.

### **ესეს წერისთვის დაგჭირდებათ:**

- კომპიუტერი ან საბეჭდი მანქანა
- ლექსიკონი
- ენციკლოპედია

### **გისურვებთ წარმატებებს!**

**ავტორი:** ნანა ციხისტავი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი